საქართველოს მთავრობის განკარგულება

№1565 2016 წლის 2 აგვისტო ქ. თბილისი

„წყლის ინფრასტრუქტურის განახლების პროექტ II“-სთან დაკავშირებით ევროპის საინვესტიციო ბანკიდან (EIB) სესხის ჩამორიცხვის ბოლო ვადის გადაწევის და პროექტის დასრულების ვადის განსაზღვრის შესახებ

1. მიღებულ იქნეს ცნობად საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ინფორმაცია, „წყლის ინფრასტრუქტურის განახლების პროექტ II“-სთან დაკავშირებით საქართველოსა და ევროპის საინვესტიციო ბანკს შორის 2013 წლის 20 აგვისტოს გაფორმებული ფინანსური ხელშეკრულებით გათვალისწინებული სესხის ჩამორიცხვის ბოლო ვადის გადაწევის და პროექტის დასრულების ვადის განსაზღვრის თაობაზე.

2. საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ აწარმოოს კონსულტაციები, ევროპის საინვესტიციო ბანკთან „წყლის ინფრასტრუქტურის განახლების პროექტ II“-სთან დაკავშირებით ევროპის საინვესტიციო ბანკიდან სესხის ჩამორიცხვის ბოლო ვადის 2018 წლის 20 აგვისტომდე გადაწევასა და პროექტის დასრულების ვადის 2018 წლის 30 დეკემბრით განსაზღვრასთან დაკავშირებით.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**